

ვინფრიდ ბოედერი

ანაზორა სვანურში¹

პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები სვანურში, ერთი შეხედვით, საკმაოდ ზუსტად შეესატყვისება ქართულ სისტემას. ერთი გამონაკლისია, ალბათ, ლათინური iste-ს ტიპის ჩვენებითი ნაცვალსახელი, ანუ ქართული მაგ-, რომელიც თანამოსაუბრესთან მიმართებას აღნიშნავს. თუკი ამას არ ჩავთვლით, დაახლოებით შემდეგი შესატყვისები გვაქვს:

(1) სვანური	I		II	
ნათესაობითი	ალა / ამ ამ-იშ	'ეს / ამ' 'ამის'	ეჯა ≈ ეჯი / ეჯ ეჯ-იშ	'ის/იმ-' 'იმის'

მაგრამ უკვე კონტრასტებს, როგორცია ქართული:

(2)	III	IV
	იმან	მან
	იმანს	მანს
	იმანის	მანის
	იმანით	მანით

ეტყობა ვერსად ვიპოვიოთ სვანურში, თუმცა ზოგჯერ, მაგ. ვარლამ თოფურიასთან (1979, 1985) და Karl Horst Schmidt-თან (1991), ერთი-ორი სხვა ფორმაც აღინიშნება, ნაწილობრივ ისეთ კატეგორიებში, როგორ-

¹ ეს სტატია სვანური ენის დიდი მკოდნის – ვარლამ თოფურიას ხსოვნას ეძღვნება. ტექსტი ემყარება ოლდენბურგის უნივერსიტეტში 1995 წლის 18-19 ნოემბრის სიმპოზიუმზე “Kaukasische Sprachprobleme VI” წაკითხულ მოხსენებას. – ემფატიკური და უკუქცევითი ნაცვალსახელის ერთმანეთთან კავშირი ბოლო წლებში მრავალი ტიპოლოგიური გამოკვლევის საგანი იყო: სვანური მასალის მნიშვნელობაზე ამ თეორიულ დისკუსიაში და აგრეთვე საკითხს, “long distance anaphora”-სთან გვაქვს თუ არა საქმე. მოგვიანებით შევხებით უფრო დაწვრილებით. – მადლობას მოვახსენებ, უპირველეს ყოვლისა, ალექსანდრე ონიანს, რომელიც 1974 წლიდან მასწავლებდა სვანურს. მანვე გადასინჯა გულდასმით ჩემთან ერთად სვანური მაგალითები 1995 წელს და მიბასუბა უამრავ კითხვაზე. ემადლობ აგრეთვე ციური ვიბლიანს (მესტია) მესტიური ზღაპრების თარგმნისათვის. დიდად დამეხმარა აგრეთვე Jost Gippert-ი (მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტი) თავისი სვანური პოეზიის სიტყვის ფორმათა საძიებლის (ა. შანიძე, ვ. თოფურია და მ. გუჯეჯიანი 1939) მოწოდებით: ამ დახმარების გარეშე ზოგიერთ მოწმობას ვერც მივაგნებდი. და ბოლოს დიდად ემადლობ რეზო კიკნაძეს, რომელმაც ეს სტატია თარგმნა: შეცდომები ჩემია!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფილოლოგიის ფაკულტეტი

ენათმეცნიერების საკითხები

2 (10)

თბილისი
2001 წელი

იცაა „უკუქცევითი ნაცვალსახელი“ ან „ემფატიკური მნიშვნელობა“. ეს ფორმები, ეტყობა, ან უკვე ნახსენებ დეიქტიკურ ძირებს მიეკუთვნება, მაგ.:

(3) ჯა ≈ ჯი 'сам, თვითონ' (Schmidt: „უკუქცევითი“ ან „ემფატიკური“) ეჩა < *ეჯ-სა (ვ. თოფურია) 'ero'

რომლებიც აშკარად ეჯა ≈ ეჯი-ს ფუძეს ეკუთვნის, ან კიდევ ეს სიტყვები გვევლინება დეფექტური პარადიგმის ერთეულებად, როგორცაა მაგ.:

(4)	მიჩ	“Obliquus” (Schmidt)
	მიჩა	'ero'
	მიჩაშვ	'მისით' (ვ. თოფურია 1979 : 237)
	მინ	'они сами' (ვ. თოფურია 1985; მარტიროსოვი 1964 : 221: 'თვითონ', Schmidt: 'უკუქცევითი' ან 'ემფატიკური')
	მინეშ	'их' (ვ. თოფურია 1985; მარტიროსოვი 1964 : 123 : 'მათი, თავიანთი')
	მინეშ(ვ)დ	'to them' (Schmidt)

როცა თვით ტექსტებს ვკითხულობთ, ზემოთ მოტანილს ისეთი ფორმები და მნიშვნელობებიც ემატება, რომლებიც გვიჩვენებს, რომ სრულყოფილ, არადეფექტურ სისტემასთან გვაქვს საქმე. ასახსნელი რჩება მხოლოდ ის ფაქტი, რომ ფორმები (3)-სა და (4)-ში მეტად თუ ნაკლებად „უკუქცევითად“ შეიძლება იხმარებოდეს და ეს უკუქცევითობა „ემფატიკურობასთანაა“ დაკავშირებული.

ამრიგად, ორი რამ მინდა ვაჩვენო – ჯერ ერთი ის, რომ, სხვაგან თუ არა, ზემოსვანურში მაინც IV ტიპის სრული პარადიგმა არსებობს, და მეორეც ის, თუ რა დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან „უკუქცევითი“ და ე. წ. ემფატიკური მნიშვნელობა.

სვანური პარადიგმა ასე გამოიყურება:

(5)	სვანური IV	მხოლოდობითი	მრავლობითი
	სახელობითი	ჯა ≈ ჯი	მინ
	მოთხრობითი	მიჯნემ ≈ ჯინემ	მინდ
	მიცემითი	მიჩ	მინს
	ნათესაობითი	მიჩა	მინეშ
	(მოქმედებითი)	მიჩეშვ	მინოშვ

ყველა ამ ფორმას ჯერ არაუკუქცევითი მნიშვნელობა აქვს:²

- (6) პ 162, № 46, 57 (ლატალი ბეჩო) სი იმვან ხარი, დემა იგნი / იმვან ხარი, ჯა მამ პრი 'შენ სადაც ხარ, არ ჩერდება, / სადაც ხარ, ის არ არის'
- (7) პ 168, № 46, 155 (მულახი) ეშხუ ყვარლიდ მიჩ ოხპენგრებს, / მერმე ბუა ფუთას ოხპენგრებს 'ერთი ლაფშა მას შეუკაზმეს, / მეორე მამა ფუთას შეუკაზმეს'
- (8) პ 278, № 92, 48 (ლენჯერი) არა-ჩხარა ჩუვ ხოდგარა, / არა-ჩხარა მიჩ ლალ ხაჯიდს 'რვა ცხრა მოკლავს, / რვა-ცხრა, გლახ, მას დაპკრეს'
- (9) პ 44, № 13, 5 (მულახი) ხათხელინახ გიგო გალფხანს, / მიჩ დავლანშ ქვირქვილდ სვა ლოხქვა, / ჯანრის ამეი სვა ლახჩედა 'თურმე ეძებდნენ გიგო გარდაფხადეს, / მას თხის ქურქი წამოუცვამს, / ჯარს ასე შერეგია'
- (10) პ 18, № 5, 53 (მულახი) იშვიდ მინ ლიხ, იშვიდ ნან ლესვდ ('ich nehme seiben Leute mit) 'შვიდნი ისინი არიან, შვიდნი ჩვენ ვიყვნეთ'
- (11) პ 92, № 27a, 56 (მულახი) მი როქვ ვეშმაგ მეგამს ამლანჯ, / მინ როქვ ხოჩამდ ჩუდ ადგონშმანს 'მე ხეზე ზურგით მიმაკრესო, / მათ კი (!) კარგად იგახშმესო'
- (12) პ 52, № 14, 7 (mulaxi) მინდ ლიღვქინალ ჭურ' ლამბინეს 'მათ ვითომ' დევენა დამიწყეს'
- (13) ბს 380, 10 ნაბოზს მიჩა ლაჯმილა ანვანდ ი მინე დაჩვირ ლახ ამე' ესხვანდ, სურუ ანწახვანს, ე' ოხონანან მინე დაჩვირს 'სადამოს მისი კმებიც მოვიდნენ და მათი და თუ' ასე დახვდათ ძალიან შეწუხდნენ. მოუარეს თავიანთ დას'.

როგორც ვხედავთ, მაგალითები პოეზიიდანაა, გარდა ბოლოსი. ამას ნანათესაობითარი ფორმები, როგორცაა:

(14) ბს 382, 24 მიჩეშთე აღმშ 'მასთან მოდიოდა'.

² ქვემოთმოყვანილი ქართული თარგმანებიდან სვანური სიმღერები (პ) ა. შანიძის, ვ. თოფურიასა და მ. გუჯეჯიანის სვანური პოეზიის კრებულიდანაა (1939); მესტიის ბალსზე-მოური ზღაპრებისა (ა. შანიძე – ვ. თოფურია 1939) – ციური გაბლიანისა (მესტია), თუ სხვა მითითება არაა; ბალსქვემოურისა (ა. დავითიანი – ვ. თოფურია და მ. ქალღანი 1957) – შ. ძიძიგურის კრებულიდან (1971), თუ სხვა მითითება არაა.

³ corr. ა. ონიანი: დედანში: ლიღვქინალ.

⁴ add. ა. ონიანი:

⁵ ა. ონიანი: რახან

თუ ამ ადგილებს უფრო ზუსტად დავაკვირდებით, ერთგვარი ასიმეტრია შეინიშნება მნიშვნელობებს შორის: ნათესაობითები მიჩა/მინეუ და მათგან ნაწარმოებნი უბრალოდ მე-3 პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელებია. სამაგიეროდ ყველგან, სადაც სახელობითი და პიცემითი იხმარება, უკვე ნახსენები „ემფატიკა“ მოიძებნება. (6) – (8)-ში ეს ნაცვალსახელები კონტრასტულ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან: (6)-ში ერთმანეთს უპირისპირდება „ის“ და „შენ“, (7)-ში – „მას“ და „მამა ფუთა“, (8)-ში კი სუბიექტი და ობიექტი ორმხრივად უპირისპირდება ერთმანეთს: „მან სცემა ისინი, მათ სცემეს ის“. ეს კონტრასტული მნიშვნელობა ანუ „ემფატიკა“ არ შეინიშნება მაგალითებში მიჩა-თი. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად შესაძლებელია, ჩემს მაგალითებში არსად დასტურდება. სხვანაირად რომ ვთქვათ, არ მოიძებნება მაგალითი „საკუთარ“-ის მნიშვნელობისა, როგორც იქნებოდა, ვთქვათ, „საკუთარმა შეიღმა მოკლა“ და „საკუთარი მამა მოკლა“. საინტერესოა, რომ ნიჟარადის რუსულ სვანური ლექსიკონი (1910) რუსული собственнѣй-ს შესატყვისად მხოლოდ ქართულ საკუთარ-ს გეთავაზობს. მაგრამ გადამწყვეტი აქ ისაა რომ ნათესაობით მიჩა-ს შემთხვევაში ემფატიკა აუცილებელი არ არის. როგორც ქვემოთ დაეინახათ, ეს შემთხვევითი არაა.

(5)-ც ასევე პარადიგმაა, რომელიც ციტირებულ პირდაპირ ნათქვამში იხმარება, რომელთანაც სვანურში პირველი და მეორე პირი მესამეში გადაიტანება.⁶ ეს იმას ნიშნავს, რომ IV პარადიგმა იქაც გვხვდება, როცა ქართულსა და გერმანულში „მე“ და „შენ“ იქნებოდა. ამის მდიდარ მასალას პროზაული ტექსტები გვაწვდის:

- (15) ბ'ს 383, 35 (როცა გვირმა წარმატებით უპასუხა გამოცანას, თქვა მეყვე) მიჩა ჩნეე [ესერ] ლი ჯა 'მისი [=ჩემი] სიძე არის ისა [=შენ ხარ]'
- (16) ბ'ს 385, 13 ჯ'ესერ ეზერ ვზრგ ლი 'ის კარგი თავადი არისა [=შენ ხარ...]'
- (17) პ 242, № 67, 14 (ლახამულა) ა, ხოლა ესერ ჯი ზურალ, / ყორ-ლაჯვრა. ხოჩადოლე ჩავმინ! 'აბა, ის ცული ქალი [=შე ქალი], კარ-ფანჯარა კარგად მიხურე [ქნა]'

⁶ ამის გარდა პერფექტი იხმარება არა მარტო თურმეობითის მნიშვნელობაში (8, 9, 20, 23, 35, 39), არამედ ნათქვამის გადმოცემის დროს იქაც სავალდებულოა, სადაც პირდაპირ ნათქვამში წყვეტილია მოსალოდნელი: ასეა (22)-ში: ჩვათქარენახ და არა: 'დაეკარგათ' (ან არაგადატანილი პირით: 'დაგვეკარგათ') და (24)-ში: ოხტიხა (<* ახტიხა) 'დაუბრუნებია' და არა: 'დაუბრუნა' (ან, არაგადატანილი: 'დამიბრუნა'). დეტალები-სათვის იხ. Boeder 2001.

- (18) ბ'ს 388, 8 მიჩ ესერ ხოჩილდ ხოხალ ალ დინწ ნიშან [მელორე ამბობს] მან უკეთ იცის [=მე ვიცი] ამ გოგოს ნიშანი'
- (19) ბ'ს 386, 36 მიჩ ესერ ხოცხა ეჩხავ ლიზ'-ჟ, მწკვე ნაშგომთე 'მას ურჩევნიაო [=მე მირჩევნია] იქ წასვლა, ვინც პირველად ითხოვა'
- (20) ბ'ს 384, 17 მიჩ ესერ დიე-მუ ხორი მო? – მიჩა ხეხვ ლახჭვედნა. – დიე-მუ ესერ ჩუ ხორი მიჩ აგის 'მას დედ-მამა ჰყავსო [=გყავსო]? – მისი ცოლი შეეკითხა [ჰკითხია]. – დედ-მამა ჰყავსო მას [=მყავს] თავის სახლში'
- (21) ბ'ს 386, 18 ბაზი ესერ მინ დარე მარა სვა ლამძუშგერი[ხ] 'ამაღამ ორ კაცს სტუმრად მიიღებენო [=მიგვიღებთო]'
- (22) ბ'ს 384, 25 მინს ესერ გეზალ ჩვათქარენახ, მინს ესერ გეზალ იმხან ოხვედნიხ? – ჯ'ესერ მინე გეზალ ლი 'მათ შვილი დაჰკარგვიათო [=დაგვეკარგვია]. მათ [=ჩვენ] შვილი საიდან მოუვიდოდაო [=მოვიდოდაო]? – ისო მათი შვილია [=მე თქვენი შვილი ვარ]'
- (23) ბ'ს 385, 18 მიჩ ესერ ხოცხ მინაძაქაშ ხეხვ 'მასო ეგულება [=მეგულება] საიმისო [=საშენისო] ცოლი'
- (24) პ 276, № 91c, 35 (ლახამულა) ჩინჩლიდ მიჩეშე როქ ოხტიხა [sc. მეთხევემ] ჩილი მე დამიბრუნდაო [მისთვის დაუბრუნებიაო]'
- (25) ბ'ს 383, 25 აზრ ესერ აშვედელი მიჩეშეთესვა 'ვინ მოსულაო მასთან [=შენთან]'
- (26) ბ'ს 386, 19 ბაზი ესერ მინეშეგე ირღიხ 'ამაღამ მათთან [=ჩვენთან] იქნებიანო [=იქნებითო]'

ძნელი სათქმელია, ყველგან არის თუ არა დაპირისპირება და ემფატიკა ამ მაგალითებში. შეიძლება სხვა ფაქტორებიც არსებობდეს, რომლებიც, როგორც IV პარადიგმაში ქართული ფორმის ხმარების შემთხვევაში, ნამდვილ პირის ნაცვალსახელებს უწყობს ხელს, მაგ. სწორედ პირდაპირი ნათქვამი, რომელიც უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს თვით რეფერენტების იდენტიფიკაციას.

ახლა ნათესაობითის ხმარებას დავაკვირდეთ. არაუკუქცევითის გვერდით უკუქცევითი მნიშვნელობით ხმარებას მხოლოდ და მხოლოდ მიჩა/მინეშ-სთან ვხვდებით:

- (27) bz 386, 12, სგამჩენდ ეჩხავ, ეჯ სოფელთე, მიჩა ლამთილანშ 'შესულან იქ, იმ სოფელში, თავის ცოლეურებთან'⁷
- (28) bz 380, 14 ჩვაშდულბ მინე პაზვისვა 'daasflaves Tavis ezoSi'.

⁷ ა. ონიანი: უწინდელ ნათხოვთან
⁸ ა. ონიანი: თავისი ცოლეურებისა

უკუქცევითი და არაუკუქცევითი მნიშვნელობა ერთმანეთისგან მხოლოდ კონტექსტით თუ შეგვიძლია განვასხვავოთ, გერმანული კუთვნილებითი ნაცვალსახელის sein-ის მსგავსად.

(29) ბზ 387, 9 აზვ ლადლ სნმაქ ლანყავალთ' აზლ მიჩა ვაზრალკახან [ერთ მეფეს ლამაზი ქალიშვილი ჰყავდა.] ერთ დღეს ქალიშვილი სამუსაიფოლ წავიდა მის/თავის ვაზირებთან ერთად.

ვეზირები მეფის იგულისხმება თუ დედოფლის?

მაშინ როცა უკუქცევითი მნიშვნელობა, როგორც ითქვას, მხოლოდ კუთვნილებით ნათესაობით განვსაზღვრავთ, „ემფატიკურ“ მნიშვნელობას ხშირ შემთხვევაში ვხვდებით:

(30) ბზ 392, 17 (მესტია, ლენჯერელი კაცის თქმით) ი ჯ'აზლ ყორალ ლაკრალთე 'ა თვითონ წავიდა კარების გასაღებად'

(31) ბზ 392, 32 ალ ზურალს ესერ ჯა ამაე ხოჯდე. ჯ'ესერ კეტონსგავ აღდგენეს 'ამ ქალსო თვითონ [=მე თვითონ] აქამდე მოუყვანს, ის ჩასვანო კეცში'

(32) ბზ 385, 4 აზმედელი ერ სობელთე [...] ჯა [sc. თაფუ მუჰნური] ჩველგენელი, „ხოჩა ლადელ“ ხოქვა. — „შვიდებდუ ესერ ლახჯედა ჯა! თაფუ ესერ ლი მო ჯა?“ [თაფუმ შეიტყო, რომ თავადისანულ ადიღგერი მხიარული კაცი იყო: 'წავალ და ჭიანურს დაეუკრავ, რომ გავამხიარულოო'.] წასულა ამის სოფელში [...] თვითონ [sc. თაფუ მეჭიანურე] დამდგარა: კარგი დღე უთქვამს. მშვიდობით მოსლოდეს თავისი თავი — თაფუ ხარო შენ?

(33) ბზ 381, 23 „დალო, ჰყენტარ ი ეშუ დნა მიჩ როქე ათქარგენა“. ერქას გულ ჰედნიხ ალმარ-ე, მინ დი-გეზალ ლიხ 'აბა, ბიჭები და ერთი გოგო მას [=მე] დაქარგეიაო [=დამკარგეიაო]. მაშინ ხედებიან ესენი, რომ თვითონ დღა-შვილი არიან'

(34) ბქ 15, 8 (მახერი, მარტიროსოვის (1964) მიხედვით) სგა მინ დემ ლგრდახ 'თვითონ ვეღარ მიდიოდნენ'

(35) პ 160, № 46, 16 (მულახი) აშ ხოქხენახ ქვერწილ ლეთის, / მარე მინსი ეი ხოკლდახ 'ასე უგვიანებდნენ ქორწილის დამეს, / მაგრამ თვითონაც დაუქარებიათ.'

ამავე კატეგორიისაა:

(36) ბზ 69, 5 (უშგული) ანვალ ალ დნა მიჩავშ მინდორთესგა, ალ ჰყინტს ხეკრალ: „სი ჰაშ, მი დეხე!“ 'მოვიდა ეს გოგო თავისით მინდორში. ამ ბიჭს ეხვეწება: შენ ქმარი, მე ცოლი'

(37) პ 250, № 74, 2 (ლენჯერი) მეგმარ მინოშე იშ[შ]ვაარალხ 'ხეები თავისით უშპარს აბამენ (ცეკვავენ).'

მიჩავშ/მინოშე შესატყვისი ნაცვალსახელებისა მიშგულშ 'ჩემ თავად', ისევე უშე 'შენით, შენ თავად' (ჯავახიშვილი 1937:443).⁹ ქართული მოთხრობითი მან-ის შესატყვისი პროზაულ ტექსტებში ვერ ვნახე, მაგრამ პოეზიაში მრძებნება მაგალითები თვითონ-ის მნიშვნელობით, როგორც ბალსხემოურსა, ისე ბალსქემოურში:

(38) პ 92, № 27a, 74 (მულახი) მერზილანშ თხვიმ კაჟი ესვდე / მიჯნემ ყორქა ქა ლანკინე 'მურზილას თავი კაზე [=პურის საცხობ ქვასე] დაუდგა, თვითონ კი კარში გახტა'

(39) პ 134, № 41a, 34 (ლახამულა) ჩხარა სემუნს კინჩხ ეი ახქვიც / ჯინემ ქა ოხვენ კახენქა 'ცხრა ცოლის ძმას თავი [„კისერი“] მოსტრა თვითონ გამობრუნდა კალოდან'.¹⁰

საკითხი, „უკუქცევითი“ უნდა ვუწოდოთ თუ არა შესაბამის ნაცვალსახელებს ასეთ მაგალითებში, ნაწილობრივ ტერმინოლოგიური ხასიათისაა. ცნება „უკუქცევითი“ აქ არსებითად ემყარება საკმაოდ სწორ შეგრძნებას იმისა, რომ ქართული თვითონ და გერმანული სელბსტ უკუქცევითობასთანაა დაკავშირებული.¹¹ მაგრამ უდავოდ ნაკლებად დასაბნევი იქნება, თუ უკუქცევითობას, ტრადიციული გრამატიკის მსგავსად, მკაცრად შემოვსაზღვრავთ იმ შემთხვევით, როცა სახეზეა რეფერენტის იდენტურობა ერთი და იმავე წინადადების ფარგლებში.

ახლა თუ შევადარებთ „თვითონ“-იან მაგალითებს (30) - (39) იმ მაგალითებთან, რომლებსაც მე კონტრასტული მნიშვნელობა მოუქცებნე. კერძოდ, (6) - (8), ცხადი გახდება სემანტიკური კავშირი: ყვე-

⁹ ეს ფორმები შეგვიძლია გავიზიაროთ როგორც ელიფსური შესატყვისობები თავ-ის, სვანური თხუმ-ის მოქმედებითიანი კონსტრუქცია: „თავისი თავით“ > „თავისით“, cf. მი თხუმშე ხეიჩო 'მე თვითონ ვიზამ' (ჯავახიშვილი 1937:442, ინფორმანტი - ფაფალა გარდაფხაძე).

¹⁰ ა. შანიძე, ვ. თოფურია, მ. გუჯეჯიანი (1939) მძიმეს ახკვიც-ის შემდეგ სვამენ და არა ჯინემ-ის შემდეგ, მაგრამ მაშინ მოთხრობითი თურმეობითთან (ოხვენ) გამოვიდოდა! თუმცა შეიძლება, თვითონ-თან მოთხრობითის განზოგადების ფენომენთანაც გვექნდეს საქმე. მეგრულში მოთხრობითი მუ-ქ „თვითონ“-ის მნიშვნელობით განზოგადდა, მაშინ როცა მუ-მ, მან-ის მნიშვნელობით დაპირისპირება შეინარჩუნა სახელობით მუ-სა და მოთხრობით მუ-ქ-ს შორის (ჩიქობავა 1936: 76-77; Boeder 1979: 116). ასევე ქართული თვითონ, რომელიც ყველა ბრუნვასთან ერთად იხმარება, მოთხრობითს შეიცავს: თვითონ < თვით მან (იხ. Boeder 1979: 446; 479 ორ-თა-ვე მოთხრობითია განზოგადდებისათვის).

¹¹ ამ კავშირზე ვრცელ მსჯელობას აქ ვერ დავიწყებ: იხ: Edmondson - Plank 1978 და Primus 1992. (ამ უკანასკნელი სტატიის შესახებ ინფორმაციას ვუმაღლი Michael Job-ს).

ლა იმ შემთხვევაში, როცა ქართულ თარგმანში თვითონ იხმარება, გერმანულადაც შესაძლებელი იქნებოდა უბრალო ნაცვალსახელის ხმარება კონტრასტული აზრობრივი მახვილით. სხვანაირად რომ ვთქვათ, „თვითონ“-იანი მაგალითების კლასი მხოლოდ ქვეჯგუფია კონტრასტული მნიშვნელობის მქონე მაგალითებისა; ამ შემთხვევაში სულ ერთია, როდის იხმარება ქართულში თვითონ და გერმანულში სელბსტ. სხვათა შორის, გერმანულ selbst-სა და ქართულ თვითონ-ს სხვა მორფოლოგიური თვისება აქვს, ვიდრე სვანურ ჯა-ს; არ იბრუნება. ის, რომ ქართული თვითონ თვით სვანებისთვისაც სხვა რამეა, ვიდრე სვანური ჯა, იქიდანაც ჩანს, რომ ნაწილობრივ ნასესხები აქვს სვანურს (მარტიროსოვი 1964; 221).¹²

(40) 3 76 № 25a, 54 (მულახი) თვითან ლახვას ჟი ლახვაცხენს 'თვითონ ძმებს გამოეღვიძათ'

(41) 3 48 № 13, 74 (მულახი) მეცქვილ მარე თვით მინს ხოზხას 'მოციქული კაცი თვით მათ (მო)უგზავნიათ'.

მართლაც, ნიუარამესაც (1910:403) აქვს შეტანილი თავის ლექსიკონში: „самъ თვითონ, თვითან, თხუმშვ,¹³ ჯა“. — მთავარი აქ ის ფაქტია, რომ სვანურში სრული IV პარადიგმა არსებობს, და ისიც, რომ ეს პარადიგმა თავისი მნიშვნელობის მიხედვით ორ ნაწილად იყოფა, სახელდობრ:

- 1) ნათესაობითი მისგან ნაწარმოები ფორმებითურთ; ნათესაობითს ან უკუქცევითი მნიშვნელობა აქვს, ან არაუკუქცევითი, კონტექსტის მიხედვით.
- 2) პარადიგმის დანარჩენი ნაწილი არ უშეუბნება მკაცრი გაგებით უკუქცევით მნიშვნელობას, სამაგიეროდ კი - კონტრასტულს, რაც თარგმნის დროს ზოგიერთ კონტექსტში ქართული თვითონ-ით / გერმანული selbst-ით გადმოიცემა:

(42) ნათესაობითი (კუთვნილებითი):	უკუქცევითი ან არაუკუქცევითი „არაემფატიკური“ ემფატიკურობა არ დასტურდება
სახელობითი	} მხოლოდ არაუკუქცევითი, „ემფატიკური“ (კონტრასტული) მნიშვნელობა; გარკვეულ კონტექსტებში როგორც თვითონ ითარგმნება, შესაძლოა არაემფატიკური მნიშვნელობა პირდაპირ ნათქვამში
მოთხრობითი	
მიცემითი	

¹² შესავსადვე თვითონ ნასესხები მეგრულშიც (მარტიროსოვი 1964:222).

¹³ cf. სქოლიო 9.

ამრიგად, გვაქვს ორმაგი კონტრასტი, ერთი მხრივ, უკუქცევითობასა და არაუკუქცევითობას შორის და, მეორე მხრივ, „ემფატიკასა“ და „არაემფატიკას“ შორის.

აქ ორი საკითხია გასარკვევი:

1) რატომ აქვს ნათესაობითს უკუქცევითი და არაუკუქცევითი მნიშვნელობა, პარადიგმის სხვა ფორმებს კი არა?

2) რატომ აქვს სახელობითს, მოთხრობითსა და მიცემითს სწორად ემფატიკური მნიშვნელობა, ნათესაობითს კი არა?

მე ვფიქრობ, რომ განაწილება (42)-ში ქართველური ენების გარკვეული თავისებურებითაა განპირობებული.

1) უკუქცევითობა მკაცრი გაგებით ქართველურ ენებში, ბევრი სხვა ენის მსგავსად, გამოიხატება „თავ“-იანი სახელური შესატყვისების საშუალებით. ასევეა სვანურშიც:

(43) ბქ 37, 36 (მაზერი) მარე თხუმ ქა ღემ პთნე '(ამიერიდან ცნობილია) მაგრამ თავს არ აჩვენებს არავის'

(44) ბქ 37, 37-38, 1 (მაზერი) მიჩა თხუმ ი რაშ ბალდჳდ ჳსყი, ხოლა მარად ხახლუნე აღჳრს თხუმ 'თავის თავს და თავის რაშს ცუდად გამოაწყობს, ცუდი კაცი ჰგონიათ'.¹⁴

ამის გარდა, უკუქცევითობა ე. წ. სათავისო ქცევის საშუალებითაც შეიძლება გამოიხატოს (Boeder 1969). ამრიგად, უკუქცევითი პირდაპირი და ირიბი ობიექტები სახელობითსა და მოთხრობითში ქართველურ ენებში გამოიხატება არა ნაცვალსახელებით, არამედ მხოლოდ „თავ“-იანი სახელური შესიტყვებით ან ნოლით (ზმნაში). რაც შეეხება მოთხრობითს, შეუძლებელია იყოს უკუქცევითი, რადგან ის როგორც სუბიექტი უკუქცევითი ერთეულის „მმართველი“ („controller“) შეიძლება იყოს მხოლოდ.¹⁵ ესე იგი, შეიძლება ითქვას, რომ უკუქცევითობის აუცილებელი გამოხატვაა „თავ“-ით ქართველურ ენებში არ იძლევა იმის საშუალებას, რომ რომელიმე ნაცვალსახელს ობიექტის პოზიციაში უკუქცევითი მნიშვნელობა ჰქონდეს. ამის შედეგად სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი არ შეიძლება უკუქცევითი იყოს.

ამის საპირისპიროდ, უკუქცევითი განსაზღვრებითი ნათესაობითი გამოიხატება არა „თავ“-იანი კონსტრუქციის, არამედ ნაცვალსახელის საშუალებით. იმას, რომ ეს ნაცვალსახელი ქართულში

¹⁴ ა. ონიანი: 'ცულ კაცად აჩვენებს (აცოდინებს) ამათ თავს'

¹⁵ ის ფაქტი, რომ „თავი“ სუბიექტადაც შეიძლება იხმარებოდეს, იმას ნიშნავს, რომ თავს არაუკუქცევითი მნიშვნელობაც აქვს (ასათიანი 1982, Boeder 1989).

თვითონ თავისგანაა ნაწარმოები, საკითხისადმი ჩვენი მიდგომისათვის არა აქვს მნიშვნელობა; თავის-, სინტაქსური გაგებით, სახელური შესიტყვება კი არაა, არამედ მე-3 პირის ნაცვალსახელი, როგორც ყველა ქართველურ ენაში. ამგვარად, სხვა ნაცვალსახელების საპირისპიროდ, კუთვნილებითი ნაცვალსახელი შეიძლება უკუქცევითი იყოს. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უკუქცევითი და არაუკუქცევითი მნიშვნელობები მე-3 პირში სხვადასხვა ნაცვალსახელებით გამოიხატება, სახელდობრ, ერთის მხრივ, თავის-ით და, მეორეს მხრივ, მის-ით. სვანურში, ისევე როგორც გერმანულში, ეს მნიშვნელობები ფორმალურად არ განსხვავდება:

(45)	სვანური	მიჩა/მინე	
	სალიტერატურო ქართული	უკუქცევითი თავის, თავიანთი	არაუკუქცევითი მის-, მათ-

მოთავარი აქ ისაა, რომ მნიშვნელობების ასიმეტრია (42)-ში ქართველური ენების სინტაქსიდან მომდინარეობს.

2) რატომ აქვთ სახელობითს, მოთხრობითსა და მიცემითს ე. წ. „ემფატიკური“ ან კონტრასტული მნიშვნელობა, ნათესაობითს კი არა? აქ ქართველური ენების კიდევ სხვა თავისებურება მოქმედებს. ქართველური ზმნა მრავალპირიანია, სუბიექტები და ობიექტები თვით ზმნაში გამოიხატება. ამიტომ კონკრეტული ნაცვალსახელები ამ ბრუნვებში მხოლოდდამხოლოდ ხაზს უსვამენ პირის ასახვას თვით ზმნაში. მე-3 პირის სუბიექტები და ობიექტები სახელობითსა, მოთხრობითსა და მიცემითში დგას ხოლმე, რამდენადაც მათი კოდირება ზმნის გარეთ ხდება. ამრიგად, მე-3 პირის ნაცვალსახელები ამ ბრუნვებში მხოლოდ მაშინაა საჭირო, როცა მათ რაღაც უნდა ასახონ, რისი კოდირებაც ზმნაში შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, მე-3 პირის ნაცვალსახელები სწორედ ამ ხარვეზს ავსებენ. სხვაგვარადაა საქმე ნათესაობითისა თუ კუთვნილებითი ნაცვალსახელის შემთხვევაში. ქართველურ ენებში პოსესიურობა კუთვნილების აღმნიშვნელ არსებით სახელში არ აისახება, განსხვავებით, მაგ. ჩერქეზულიაგან (“head marking”). ესე იგი, საჭირო შეიძლება გახდეს რამე არაემფატიკური ნაცვალსახელი, და ეს გუნქცია აკისრია სწორედ ნაცვალსახელებს (45)-ში. ამასთან არაერთი მნიშვნელობა არა აქვს ამ თემბატიკისათვის, განირჩევა ეს კუთვნილებითი ნაცვალსახელი უკუქცევითობა-არაუკუქცევითობის მიხედვით, როგორც ქართულში, თუ არა, როგორც სვანურსა და გერმანულში.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ IV პარადიგმა სრულიად ნორმალური ნაცვალსახელია მე-3 პირისა. მისი მნიშვნელობის ვარიანტები განპირობებულია სხვადასხვა შეზღუდვებით, რაც სინტაქსმა და ზმნის მორფოლოგიამ დაუდგინა ნაცვალსახელის ხმარებას.

ამასთან ამ კონტექსტში ერთი ეტიმოლოგიური შენიშვნაც მინდა გავაკეთო. თუკი IV პარადიგმა მე-3 პირის ნაცვალსახელია, რომელსაც მხოლოდ გარკვეულ პირობებში შეიძლება ჰქონდეს უკუქცევითი მნიშვნელობა, მაშინ სრულიად დასაშვებია, რომ ილლე დეიქსისის ნაცვალსახელი ევა მივიღოთ ჯა-ს განვრცობად. ეს ივანე ჯავახიშვილის წინადადებაა (1937:442), რომელმაც ე-ჯა განმარტა როგორც ‘ეს თვითონ / თვითონ ეს’.¹⁶ ნაცვალსახელები ხშირად წარმოიქმნება ერთგვარი ექსპრესიული გაძლიერების შედეგად (Schwyzer 1929); ამ შემთხვევაში ეს იქნებოდა ე-, რომელიც აგრეთვე დექტიკური ნაწილაკის როლში გვხვდება, მაგ. (19)-სა და (33)-ში:

(46) ეჯა < ე + ჯა; cf. აი ეს.

მარტიროსოვის (1964:222) კრიტიკა, თითოქოს ევა არ შეიძლება იყოს ‘ეს თვითონ’, რადგან მაშინ ჯა ზედმეტი იქნებოდა, უსაფუძვლოდ მიმანია. ჯერ ერთი, ჯა არ არის მკაცრი გაგებით უკუქცევითი, არამედ უბრალო ანაფორული ნაცვალსახელია, და მეორეც, ე-ს პრეფიქსაციით ეს უფნომენი ახალ მნიშვნელობას იძენს, სახელდობრ, ილლე დეიქსისს.

ჩემი საბოლოო დასკვნა ისაა, რომ ქართველური ნაცვალსახელოური სისტემის მორფოლოგიური კატეგორიები მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველური წინადადების სინტაქსსა და ქართველური ზმნის მორფოლოგიასთან. ჩემი აზრით, ეს კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება თანამოქმედებდნენ და ერთმანეთს ფარგლავდნენ ამა თუ იმ ენის განსხვავებული ქვესისტემები.

შემოკლებები

- ბქ = დავითიანი – თოფურია – ქალდანი 1957
- ბზ = შანიძე – თოფურია 1939
- კ = შანიძე – თოფურია – გუჯეჯიანი 1939

¹⁶ ჯავახიშვილი (1937:441) მიუთითებს პარალელურ სტრუქტურებსა და მნიშვნელობებზე მეგრულში, და თი ნა-ს აყენებს ლაზურ თი-სთან „თვითონ“. – მეგრულ მუში-ს აქვს სვანური მიჩა-ს განაწილება.

ლიტერატურა

- ასათიანი, რუსუდან 1982: მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი (თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მასალაზე) (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი). თბილისი: მეცნიერება დაეითიანი, ალი - ვარლამ თოფურია - მაქსიმე ქალდანი (edd.) 1957: სვანური პროზაული ტექსტები II. ბალსქვემოური კილო (- მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის III) (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი), თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
- თოფურია, ვარლამ 1979: „პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები ქართველურ ენებში“, შრომები III (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, ენათმეცნიერების ინსტიტუტი). თბილისი: მეცნიერება, გვ. 219-240.
- idem 1985: “Сванский язык”, წელიწდული 12:100-148.
- მარტიროსოვი, არამ 1964: ნაცვალსახელი ქართველურ ენებში. ისტორიულ-შედარებითი ანალიზი (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- [ნივარაძე, ივანე] И. И. Нижарадзе 1910: Русско-сванский словарь (=Сборник материаловъ для описанія местностей и племень Кавказа 41, приложение). Тифлисъ: Типография Канцеларии Наместника Его Императорского Величества на Кавказе.
- შანიძე, აკაკი - ვარლამ თოფურია (edd.) 1939: სვანური პროზაული ტექსტები I, ბალსქვემოური კილო (- მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის I) სსრკ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ფილიალი, ენიმკი). ტფილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა
- შანიძე, აკაკი - ვარლამ თოფურია - მერი გუჯჯიანი (ედლ.) 1939: სვანური პროზა I: სიმღერები. შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს აკაკი შანიძემ, ვარლამ თოფურიამ, მერი გუჯჯიანმა (მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის I) (სსრკ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ფილიალი, ენიმკი). თბილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა
- ჩიქობავა, არნოლდ 1936: ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ (სსრკ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ფილიალი, ენიმკი). ტფილისი: მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემა

- ძიძიგური, შოთა 1971: Грузинские варианты нартского эпоса (исследование, тексты) / ნართული ეპოსის ქართული ვარიანტები, თბილისი: მერანი.
- ჯავახიშვილი, ივანე 1937: ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წიგნი მეორე: ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. ტფილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა
- Boeder, Winfried 1969: “Über die Versionen des georgischen Verbs”, *Folia Linguistica* 2 (1968): 82-152.
- idem 1979: “Ergative syntax in language change: the South Caucasian languages”, in: Frans Plank (ed.): *Ergativity. Towards a theory of grammatical relations*. London...: Academic Press, gv. 435-480.
- idem 1989: “Verbal person marking, noun phrase and word order in Georgian”, in László Marác - Pieter Muysken (edd.): *Configurationality. The typology of asymmetries (=Studies in Generative Grammar 34)*. Dordrecht, Holland - Providence, RI: Paris, gv. 159-184.
- idem 2001: “Speech and thought representation in the Kartvelian (South Caucasian) languages”, in: Tom Güldemann - Manfred von Roncador: *Reported Speech*, Amsterdam: Benjamins.
- Edmondson, Jerold A. - Frans Plank 1978: “Great expectations: an intensive self analysis”, *Linguistics and Philosophy* 2: 373-413.
- Primus, Beatrice 1992: “Selbst - variants of a scalar adverb in German”, in: Joachim Jacobs (ed.): *Informationsstruktur und Grammatik*. Opladen: Westdeutscher Verlag, gv. 54-88.
- Schmidt, Karl Horst 1991: “Svan”, in” Alice C. Harris (ed.): *The Indigenous Languages of Caucasus. Volume 1: The Kartvelian Languages*. Delmar, New York: Caravan, gv. 473-556.
- Schwyzler, Eduard 1929: “Zur Auffassung der zusammengesetzten Demonstrativpronomina”, in: Donum Natalicum Schrijnen. Verzameling van opstellen door oud-leerlingen en bevriende vakgenoten opgedragen aan Mgr. Prof. Dr. Jos. Schrijnen. Nijmegen - Utrecht, gv. 364-366.